

ატრიბუტებზე დაფუძნებული წვდომის კონტროლი ცოდნის წარმოდგენაში

მიხეილ რუხაია

წვდომის კონტროლი არის უსაფრთხოების ტექნიკა, რომელიც კომპიუტერულ გარემოში უთითებს თუ რომელ მომხმარებლებს აქვთ წვდომა კონკრეტულ რესურსებთან. წლების განმავლობაში მრავალი წვდომის კონტროლის მოდელები შეიქმნა კომპიუტერული უსაფრთხოების სხვადასხვა ასპექტების შესაბამისად. ამ მოხსენებაში ჩვენ განვიხილავთ თანამედროვე მიდგომას, ატრიბუტებზე დაფუძნებულ წვდომის კონტროლს (ABAC), რომელიც შემოღებულ იქნა ტრადიციული მოდელების: დისკრეციული წვდომის კონტროლი (DAC), სავალდებულო წვდომის კონტროლი (MAC) და როლებზე დაფუძნებული წვდომის კონტროლი (RBAC) შეზღუდვების აღმოსაფხვრელად.

წვდომის კონტროლის მექანიზმის სემანტიკურ ქსელში ინტეგრირებისათვის განიხილავენ ორ სხვადასხვა მიდგომას: (1) გამოვიყენოთ სემანტიკური ვებ ტექნოლოგიები წვდომის კონტროლის მოდელირებისა და ანალიზისათვის და (2) დავიცვათ ონთოლოგიაში კოდირებული ინფორმაცია. ამ მოხსენებაში ჩვენ განვიხილავთ პირველ მიდგომას და ვაჩვენებთ როგორ შეიძლება ABAC-ის მოდელირება ონთოლოგიაში.